# საქართველოს დემოკრატიული ინივიატივა (GDI)

# ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ

# 2014 წლის მეორე ნახევარი

# სარჩევი

**შესავალი ..... 3**

**დისკრიმინაცია და უმცირესობების უფლებები .....4**

დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით და რელიგიის თავისუფლება .....4

დისკრიმინაციული განცხადებები საჯარო მოხელეების მხრიდან .....13

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და მისი ამოქმედება .....15

**სასჯელაღსრულების სისტემა და პატიმართა უფლებები .....17**

სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები .....18

არასათანადო მოპყრობის და პატიმართა სუიციდის შემთხვევები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში .....21

**პოლიციის მიერ ძალის გადამეტება ..... 29**

**ოჯახში ძალადობა -.....34**

ოჯახში ძალადობის შემთხვევები  და ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები .....35

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები -.....37

**პერსონალური მონაცემების დაცვა და ფარული მოსმენები .....42**

ცვლილებები  „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში .. .....43

ცვლილებები ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში .....44

ახალი რეგულირება ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით .....45

# შესავალი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა წარმოგიდგენთ 2014 წლის მეორე ნახევრის ანგარიშს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და გამოვლენილ პრობლემებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის კუთხით.

დოკუმენტში მიმოხილულია საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული რელიგიური თავისუფლების შეზღუდვის და ამ ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები, საჯარო მოხელეების დისკრიმინაციული განცხადებები, მედიის როლი უმცირესობების თემატიკის გაშუქების კუთხით, რელიგიური გაერთიანებებისათვის ზიანის ანაზღაურების წესთან დაკავშირებული პრობლემები და ანტიდისკრიმინაციული კანონის იმპლემენტაციის შედეგები. ანგარიშში მნიშნელოვანი ადგილი ეთმობა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობას, პატიმართა სუიციდისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. ანგარიშში ასევე მიმოხილულია პოლიციის მიერ ძალის გადამეტების და ოჯახური ძალადობის ფაქტები, ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით და ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით მიღებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებები.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა გარკვეული პოზიტიური ძვრები კანონმდებლობაში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ არსებული პრობლემები უკავშირდება არა იმდენად საკანონმდებლო ხარვეზებს, არამედ კანონების ეფექტურ იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ დაბრკოლებებს.

კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა და გახშირებული სუიციდის შემთხვევები, რაც მსჯავრდებულთა ფუნდამენტური უფლებების არასათანადო დაცვაზე მიუთითებს.

საშიშ ტენდეციას წარმოადგენს ასევე ბოლო ორი წლის განმავლობაში გახშირებული რელიგიურ უმცირესობათა შევიწროვების და რელიგიური კონფლიქტების შემთხვევები, რაც ამ კუთხით სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის არასწორი მიმართულებით განხორციელებას და ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლების უმოქმედობას უკავშირდება. უკანასკნელ ხანებში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ რელიგიის საკითხთა რეგულირების სახელმწიფო სააგენტო ამ კონფლიქტების მოგვარების არაეფექტური აქტორია.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, თუმცა მასში არსებული ხარვეზების და შესაბამისი მექანიზმების არაეფექტურობის გათვალისწინებით, იგი უფლებების დაცვის ეფექტურ მექანიზმს ნაკლებად წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი უფლებათა დარღვევის ფაქტები და არსებული ტენდეციები მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლების მხრიდან საჭიროა თითოეული პრობლემის სისტემური გააზრება და მეტი ძალისხმევის გამოჩენა მათ აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სათანადო დაცვა.

# დისკრიმინაცია და უმცირესობების უფლებები

საქართველოს კონსტიტუცია მუხლი ამკვიდრებს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და კრძალავს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციას, რაც ავალდებულებს სახელმწიფოს, ერთი მხრივ, გადადგას პოზიტიური ნაბიჯები ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებულ პირთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად, ხოლო მეორე მხრივ, უწესებს მას ნეგატიურ ვალდებულებას, თავად არ გახდეს დისკრიმინაციული გარემოს შემქმნელი სუბიექტი. თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გზით პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება კი სახელმწიფოს დემოკრატიულობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო ერთმნიშვნელოვნად უნდა ცდილობდეს ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულების შესრულებას, რაც გულისხმობს საზოგადოებაში პლურალიზმის დამკვიდრებას და ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით გამორჩეული ჯგუფების ერთ სივრცეში თანაცხოვრების უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათ თანაბარ მონაწილეობას და უმცირესობათა ჩართულობის გაზრდას.

## დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით და რელიგიის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის და ამ ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომის რამდენიმე შემთხვევა, რაც ცხადყოფს, სახელმწიფოს მხრიდან უფლებების დარღვევის ფაქტებზე არაადეკვატური რეაგირების ფონზე რელიგიური შეუწყნარებლობის გამძაფრებას.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული და ზოგადად ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები აშკარად მიუთითებს რელიგიის თავისუფლების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტურ პოლიტიკაზე. სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლების, განსაკუთრებით მუსლიმთა, მიმართ რელიგიური დევნისა და დისკრიმინაციის ფაქტები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება პრობლემებზე დროული რეაგირება და მეტიც, ხშირ შემთხვევაში თავად ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედება ხდება კონფლიქტის ესკალაციის და შეუწყნარებლობის წამახალისებელი ფაქტორი. სახელმწიფო, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს რელიგიურ უმცირესობათა სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში და აღმოფხვრას მათ მიმართ განხორციელებული უთანასწორო მოპყრობა, უპირატესად მაინც ითვალისწინებს რელიგიური უმრავლესობის პოზიციას და საკითხის მოგვარებას პრობლემის მიჩქმალვით ან მისი გადაწყვეტის გაჭიანურებით ცდილობს, რაც საკმაოდ საშიშ ტენდენციას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არ იკვეთება ერთი წლის წინ საქართველოს მთავრობის მიერ სწორედ რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ქმედითი და ეფექტური მონაწილეობა მსგავსი კონფლიქტების მოსაგვარებლად. მეტიც, როგორც წესი, სააგენტო ხელს აფარებს იმ პირებს, ვინც რელიგიური უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობას იჩენს; მის მიერ ამა თუ იმ სადავო საკითხის შესწავლის უსასრულოდ გაჭიანურება კი ამგვარი დავებისა და კონფლიქტების მოუგვარებლობას უწყობს ხელს. ამრიგად, არსებობის ერთი წლის თავზე კიდევ უფრო გამყარდა საფუძვლიანი ვარაუდი, ერთი მხრივ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს უფუნქციობის, ხოლო მეორე მხრივ, მის მიერ უპირატესად დომინანტი რელიგიური მიმდინარეობის ინტერესების გატარების თაობაზე.

**მუსლიმთა მიმართ რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენის ფაქტი ქობულეთში**

2014 წლის 10 სექტემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა მუსლიმთა მიმართ რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტი. კერძოდ, „ქობულეთში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებენ, მუსლიმთა პანსიონის გახსნა გააპროტესტეს. შეკრებილებმა შენობის შესასვლელთან დაკლეს ღორი და მისი თავი კარზე დაკიდეს. პანსიონის დახურვის მოთხოვნით მათ ქუჩაც ჰქონდათ გადაკეტილი.“ იყო მუქარის და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები[1].

11 სექტემბერს გამართულ აქციაზე[2], რომელიც აშკარად ისლამოფობიურ ხასიათს ატარებდა, სამართალდამცველებმა დააკავეს სამი პირი, რომლებსაც სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ჯარიმა დააკისრა[3]. ქობულეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განაგრძობდა პანსიონის წინ მორიგეობას. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ პანსიონის გახსნას[4]. ხაზგასასმელია, რომ აქციის მონაწილეთა მხარდასაჭერად აქციაზე იმყოფებოდა აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მაყვალა ცენტერაძე. პარალელურად, მუსლიმებმა მშვიდობიანი აქცია გამართეს აჭარის მთავრობის შენობის წინ. ისინი ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობასა და ქობულეთში მედრესეს გახსნას ითხოვდნენ[5].

1 http://www.interpressnews.ge/ge/regioni/296548-qobulethshi-muslimtha-pansionis-karze-ghoris-thavi-daamagres.html?ar=A
2 http://www.interpressnews.ge/ge/regioni/296671-qobulethshi-muslimur-pansionthan-aqcia-mimdinareobs.html?ar=A
3 http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35808/.htm ; http://1tv.ge/news-view/76089
4 http://www.youtube.com/watch?v=4niEHbXi1Bg
5 https://www.youtube.com/watch?v=oev2bREwvWg

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ დაინტერესდა, იყო თუ არა ჩართული რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2014 წლის სექტემბერში ქობულეთში მუსლიმთა პანსიონის გახსნასთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებში, და თუ იყო, რა ფორმით. ამასთან ერთად, მიმართა თუ არა რომელიმე მხარემ სააგენტოს და გაიცა თუ არა რაიმე სახის რეკომენდაცია/კონსულტაცია სააგენტოს მხრიდან აღნიშნული მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ თავის წერილში აღნიშნა, რომ „სააგენტოს წარმომადგენლები ინციდენტის შემდგომ ჩავიდნენ ადგილზე სიტუაციის უკეთ გარკვევის მიზნით. მათ მოუწოდეს სამართალდამცავებს კანონის განუხრელი შესრულებისაკენ. ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეხვედრისა და კონსულტაციების შემდეგ კი, მათი ინფორმაციით, მოხერხდა მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების აღდგენა.“

საბოლოოდ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ჩარევა მუსლიმთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არაეფექტური აღმოჩნდა – აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის პოზიციის გათვალისწინებით, გადაწყვიტეს, რომ ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩაზე, პანსიონი აღარ გაიხსნას[6]. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მოხდებოდა უკვე არსებული სასწავლებლის გაფართოება, თუმცა ამ ეტაპზე არც ლერმონტოვის ქუჩაზე არსებული პანსიონი ფუნქციონირებს და არც არსებული პანსიონის გაფართოება მომხდარა.

ქობულეთში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“[7]. ორგანიზაციების განცხადებაში ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ კომენტარებზე, რომლებიც დისკრიმინაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს შეუწყნარებლობის ესკალაციას. ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს პოლიციისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პასიურობას. მათივე შეფასებით, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა არაეფექტურია და მწვავე კრიტიკას იმსახურებს[8].

* * *

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, აჭარის მუსლიმთა ლიდერების მიმართვის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მონაწილეობით, მიიღო გადაწყვეტილება ბათუმში სასულიერო სასწავლებლის (მედრესეს) განთავსების მიზნით შენობის შესყიდვის თაობაზე. ამით, სააგენტოს განცხადების თანახმად, „ბათუმის „ორთა ჯამეში“ გამოთავისუფლდება დამატებითი ფართი, რომლის რეკონსტრუქციის შედეგად ბათუმის მეჩეთში ღია ცის ქვეშ ლოცვის პრობლემა მოიხსნება.“[9] აღნიშნული

6 http://www.myvideo.ge/?CI=1&ci_c=video&ci_m=embed&id=2t_it2q2byg
7 http://gdi.ge/ge/news/gancxadeba-islamofobiis-morigi-faqtis-shesaxeb.page
8http://www.gdi.ge/ge/news/ngos-kobuleti.page
9http://religion.geo.gov.ge/geo/news/mtavroba-batumshi-medreses-shenobas-sheisyidis

გადაწყვეტილების შესაბამისად, მიუხედავად მუსლიმური თემის მოთხოვნისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიცემული პირობისა, ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების საკითხი აღარ განიხილება[10].

**ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მუსლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტი**

2014 წლის 22 ოქტომბერს, ადიგენის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, პოლიციის მასშტაბური ძალის გამოყენებით, დაიწყო სოფელ მოხეში არსებული მეჩეთის შენობის ნარჩენების გატანა, რის შემდეგაც ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ყოფილი მეჩეთის შენობა კულტურის სახლად უნდა გადაეკეთებინა. მუსლიმმა მოსახლეობამ, რომელიც სოფლის უმრავლესობას წარმოადგენს, საპროტესტო აქცია გამართა. მათი მოთხოვნა იყო ისტორიული მეჩეთის შენობის მუსლიმი თემისთვის გადაცემა ან, მინიმუმ, მისი კონსერვაცია განადგურების თავიდან არიდების მიზნით[11]. აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით მათ არაერთხელ მიიღეს დაპირება ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის მხრიდან[12], თუმცა მეჩეთის დემონტაჟი მაინც დაიწყო.

საპროტესტო აქციის დროს აქციის მონაწილეთა და სამართალდამცავთა შორის მოხდა დაპირისპირება, რომლის შედეგადაც პოლიციამ აქციის 14-მდე მონაწილე დააკავა. თვითმხილველთა განმარტებით, აქციის მონაწილეთა დაკავებისას პოლიციის თანამშრომლები აყენებდნენ მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას და იყენებდნენ ფიზიკურ ძალას. რამდენიმე ადამიანი სასტიკად სცემეს. სამართალდამცავებმა ტელეფონები ჩამოართვეს და დაუმტვრიეს იმ პირებს, რომლებიც ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ მეჩეთის დემონტაჟს.

მოხეში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას და შესაბამისად ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას“ და რომ „პრობლემა უნდა მოგვარდეს კონსენსუსის საფუძველზე, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.“[13] იმავდროულად სააგენტოს წარმომადგენლები გარკვეულწილად ამართლებდნენ პოლიციის მხრიდან გამოყენებულ რეპრესიულ ზომებს აქციის ზოგიერთი აგრესიული მონაწილის წინააღმდეგ, კერძოდ კი აცხადებდნენ, რომ „მუსლიმების რაღაც ნაწილი, ადამიანები, რომლებმაც პოლიციის წინააღმდეგ გაილაშქრეს, აგრესიულები იყვნენ“, რის გამოც პოლიციის მიმართ გამოყენებული ძალა სახელმწიფოს ხელში არსებული ბერკეტებით აღიკვეთა[14]. აქვე აღსანიშნავია, რომ პოლიციის მხრიდან ძალის სავარაუდო

10 http://www.myvideo.ge/?video_id=2384628

11.საქმე ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ძირითადი – განუსხვისებელი ქონების სახით, კლუბის სტატუსით, რიცხულ შენობას, რომელიც, მუსლიმების თქმით, ისტორიულად მეჩეთის შენობას წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანული მოსახლეობა შენობის ქრისტიანულ წარმომავლობაზე საუბრობს.

12 http://www.liberali.ge/ge/liberali/news/120937/

13 http://religion.geo.gov.ge/geo/news/gancxadeba-adigenis-raionis-sofel-moxeshi-dghes

14 http://www.liberali.ge/ge/liberali/news/120929/

გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ პროკურატურას მიმართა, რის საფუძველზე სამართალდამცველების ქმედებების გამოძიება დაიწყო[15].

2014 წლის 2 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სადავო შენობის საკითხის გადასაჭრელად შექმნილიყო სპეციალური კომისია. კომისიამ პირველი სხდომა 2014 წლის 27 დეკემბერს გამართა. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ მუსლიმური თემის სამი, საქართველოს საპატრიარქოს სამი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთი წარმომადგენელი, რომლებსაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაევალა კომისიის დებულების შემუშავება, და, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, კომისიის მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა[16]. ზემოაღნიშნულ სხდომაზე კომისიამ დაამტკიცა კომისიის დებულება. ამ ეტაპზე მას რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

მოხეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართეს ხელისუფლებას. განცხადებაში არასამთავრობო ორგანიზაციები გამოხატავენ შეშფოთებას ბოლო პერიოდში მუსლიმთა უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაეფექტური და რეპრესიული პოლიტიკის გამო და მოუწოდებენ ხელისუფლებას, „შეაჩეროს მუსლიმი თემის რელიგიური დევნა, რამაც უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო.”[17]

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას. კონსტიტუცია აწესებს უფლების შეზღუდვის მხოლოდ მინიმალურ შესაძლებლობას. კერძოდ, ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი მხოლოდ სხვათა უფლებების შელახვა შეიძლება იყოს. ამით კი მინიშნებულია ამ უფლების განსაკუთრებულობასა და სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევისას გამოსაჩენ სიფრთხილეზე. რელიგიის თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის ასევე კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას და, შესაბამისად, სხვა ნიშნებთან ერთად, კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიური მრწამსის საფუძველზე.

რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლითაც. ადამიანის უფლებათა

15http://emc.org.ge/2014/11/03/emc-is-gancxadeba-prokuraturas/
16http://religion.geo.gov.ge/geo/news/sofel-moxes-sadavo-nagebobis-sakitxis-ganmxilveli ; http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/311175-sofel-mokhes-sadavo-sakulto-nagebobis-sakithkhis-ganmkhilveli-komisiis-pirveli-skhdoma-mimdinareobs.html?ar=A
17 http://gdi.ge/ge/news/gancxadeba-moxeshi-muslimta-uflebebis-uxeshi-dargvevis-taobaze.page

ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პლურალიზმის კვალდაკვალ არსებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება „დემოკრატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი საფუძველია (*Kokkinakis v. Greece*, no. 14307/88, 25.05.1993, § 31), ხოლო სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, ინტერესთა დაბალანსებისათვის და ადამიანთა რწმენის უზრუნველსაყოფად შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა. ხელისუფლების ორგანოების როლს კი წარმოადგენს არა პლურალიზმის გაუქმებით დაძაბულობის მიზეზის მოსპობა, არამედ დაპირისპირებული ჯგუფების შერიგების უზრუნველყოფა (*Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, no. 45701/99 , 27/03/2002, §116).

გამომდინარე აქედან, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, ერთი მხრივ, არსებული პრობლემების გადაჭრა რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით და უმცირესობათა პოზიციის გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი, ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს უმცირესობების წინააღმდეგ გამოვლენილი შეუწყნარებლობის ფაქტების მიმართ და ამგვარად მოახდინოს მომავალში მსგავსი კონფლიქტების წარმოშობის პრევენცია.

**რელიგიური გაერთიანებებისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი**

2014 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო N117 დადგენილება, რომელიც საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებას ეხება. აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელება კი მთავრობის მიერ 2014 წლის თებერვალში შექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაეკისრა. სწორედ ამ ვალდებულების ფარგლებში, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ოთხი რელიგიური გაერთიანებისათვის 2014 წელს გამოიყოს 1 750 000 ლარის ოდენობის თანხა[18], რომელიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს ისლამურ თემს – 1 100 000 ლარი;
- საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანულ თემს – 300 000 ლარი;
- საქართველოს რომანულ-კათოლიკეთა ქრისტიანულ თემს – 200 000 ლარი;
- საქართველოს იუდეურ თემს – 150 000 ლარი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანხის გამოყოფა და გადანაწილება მოხდა ზიანის დათვლის გარეშე, მხოლოდ ისეთი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით,

18. 2015 წლის ბიუჯეტში უკვე გაორმაგებული ოდენობის თანხა – 3 500 000 ლარია გათვალისწინებული იმავე მიზნებისთვის.

როგორებიცაა: თითოეულ რელიგიურ გაერთიანებაში მრევლის ოდენობა, სასულიერო პირთა რაოდენობა და საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა.

მიგვაჩნია, რომ  თვითონ თანხის გადანაწილებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები, რომლებიც არც კანონითაა გათვალისწინებული და არც ისაა ცნობილი, თუ რა საფუძვლით მოხდა აღნიშნული კრიტერიუმების შერჩევა, წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან  არა ამ რელიგიური გაერთიანებების მიერ წარსულში განცდილი ზიანის კომპენსაციის მცდელობას, არამედ მიანიშნებს ამ გაერთიანებების საბიუჯეტო დაფინანსების აშკარა მცდელობაზე.  ამასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების საკითხის დასმა მხოლოდ ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებაში, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დროს არაერთი სხვა რელიგიური გაერთიანება, მათ შორის, ლუთერანული ეკლესია, იეჰოვას მოწმეები, კრიშნაიდები, ორმოცდაათიანელების ეკლესია, ბაპტისტური ეკლესია დაზარალდა და იდევნებოდა, გარკვეულწილად დისკრიმინაციული ხასიათისაა და, მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად,  ამ ოთხ რელიგიურ მიმდინარეობასაც, გარკვეულწილად, პრივილიგირებულ მდგომარეობაში აყენებს.

## მედიასაშუალებების როლი უმცირესობათა თემატიკის გაშუქების კონტექსტში

მედიასაშუალებებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მოსახლეობისათვის სწორი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაში. უმცირესობების თემატიკის გაშუქების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიასაშუალებების მხრიდან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვა და ინფორმაციის გავრცელება დისკრიმინაციული გამოხატვისგან  თავისუფალი ფორმით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც “მაუწყებელთა ქცევის კოდექსი”, მაუწყებლებს თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპების დაცვას ავალდებულებს და კრძალავს ისეთი პროგრამების გადაცემას, რომლებიც რაიმე ფორმით შეურაცხყოფს, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს ან ქმნის შუღლის გაღვივების საფრთხეს რომელიმე უმცირესობის მიმართ. შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის დაცვას ეხმიანება ასევე “ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის” მე-7 მუხლი, რომელშიც მითითებულია, რომ „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“

სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მაუწყებლების მიერ პროგრამის ან სიუჟეტის მომზადება ხდება თანასწორობის და შემწყნარებლობის პრინციპების

უგულებელყოფით და შეურაცხმყოფელი ან დისკრიმინაციულია უმცირესობების მიმართ. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მედიასაშუალებების მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის რამდენიმე ფაქტი.

ქობულეთში მუსლიმთა პანსიონის გახსნის გამო მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით 2014 წლის 14 სექტემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომლის პირველ ნაწილში შემოთავაზებული სპეკულაციური ინტერპრეტაცია დაუსაბუთებლად აკავშირებდა უმცირესობის თემატიკას სოციალურ პრობლემასთან. მით უფრო შემაშფოთებელი იყო ის, რომ ამგვარი ინტერპრეტაციით დაირღვა ბავშვის უფლებებიც[19]. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ტელეკომპანიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ნორმები და საქართველოს მოქალაქე მუსლიმების აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებული თემატიკა დისკრიმინაციულ კონტექსტში გააშუქა[20].

მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ასევე იეჰოვას მოწმეების პრობლემის გაშუქების კონტექსტში „რუსთავი 2"-ის ეთერში 2014 წლის 26 ნოემბერს გასულ გადაცემა „ნანუკას შოუში", რომელიც, არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას შეიცავდა – იეჰოვას მოწმეები ნახსენები იქნენ ნეგატიურ კონტექსტში, ხოლო წამყვანმა გამოხატა პირადი დამოკიდებულება მრწამსის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული წარმოადგენს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის, „რუსთავი 2"-ის თვითრეგულირების ორგანოს კოდექსის და საავტორო გადაცემის წამყვანისთვის დადგენილი კოდექსის დარღვევას[21]. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართეს[22].

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე მიმართეს ტელეკომპანია „იმედის" თვითრეგულირების ორგანოს 2014 წლის 25 დეკემბერს გასულ სიუჟეტთან - „მედრესში მიბარებული ბავშვები"[23] დაკავშირებით. არასამთავრობოების შეფასებით, ტელეკომპანიამ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მთელი რიგი ნორმები დაარღვია როგორც რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის, ასევე ბავშვთა უფლებების კონტექსტში. საჩივრის თანახმად, ჟურნალისტი მთელ სიუჟეტში ავითარებს აზრს, თითქოს ქობულეთში მოქმედ მუსლიმ მოსწავლეთა პანსიონში მშობლები შვილებს სასწავლებლად არა რელიგიური მრწამსის, არამედ სოციალური სიდუხჭირის გამო აგზავნიან, რაც "რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას" (მუხლი 33.1), ასევე "უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში

19 http://gdi.ge/ge/news/statement-ngos-p-s.page
20. იქვე
21 http://gdi.ge/ge/news/arasamtavroboebi-iehovas-mowmeta-diskriminaciis-shemtxvevis-rustavi-2-s-tvitregulirebis-formatshi-ganxilvas-moitxoven.page
22 http://mdfgeorgia.ge/uploads//Rustavi2is_tvitregulirebis_organos.pdf
23 http://imedi.ge/index.php?pg=shs&id_pr=3087&id=44

შემყვანი განცხადებების გაკეთებას" წარმოადგენს და ხელს უწყობს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას (მუხლი 33.2)[24].

ასეთივე საჩივრით[25] მიმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა ტელეკომპანია „კავკასიის“ თვითრეგულირების ორგანოს გადაცემის წამყვანის დავით აქუბარდიას მიერ 2014 წლის 26 დეკემბრის თოქ-შოუ "სპექტრში“ გაკეთებული განცხადებების გამო, რომლებიც, არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, დისკრიმინაციულია და აღვივებს შუღლს საქართველოს მოქალაქე მუსლიმების მიმართ, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევას[26].

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტი დაფიქსირდა ასევე „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, სადაც 2014 წლის 6 აგვისტოს მთავარ საინფორმაციო პროგრამაში გასულმა სიუჟეტმა შექმნა დისკრიმინაციული ფონი სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითებით და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციით[27].

მედიასაშუალებებით გადმოცემული ინფორმაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაში გარკვეული აზრის ჩამოყალიბებაზე. გამომდინარე აქედან, მედიასაშუალებები ყველანაირად უნდა ცდილობდნენ, ხელი არ შეუწყონ საზოგადოებაში სტერეოტიპების დამკვიდრებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე უმცირესობათა უფლებებს ეხება. მათ ინფორმაცია მაქსიმალურად ობიექტურად, ნეიტრალურად და დისკრიმინაციისგან თავისუფალი ფორმით უნდა გადმოსცენ, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს შეუწყნარებლობის მაღალი დონე და განსხვავებულ ჯგუფებს შორის კონფლიქტების გამწვავების საფრთხე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მოუწოდებს მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, საქმიანობა წარმართონ ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის შესაბამისად და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთ საქმიანობაში დისკრიმინაციული ტენდენციების აღმოფხვრას, რამაც, შესაძლოა, დაამკვიდროს სტერეოტიპები საზოგადოებაში და წაახალისოს შეუწყნარებლობა.

---

24 http://mdfgeorgia.ge/geo/view_news/339

25 http://www.mdfgeorgia.ge/uploads//Complaints/Kavkasia%20complaint.pdf

26 https://tdigeorgia.wordpress.com/2015/01/12/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98-2/

27 http://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-sazogadoebrivi-mauwyeblis-etershi-diskriminaciuli-gashuqebis-faqtebis-gamo.page

# დისკრიმინაციული განცხადებები საჯარო მოხელეების მხრიდან

სახელმწიფოში ტოლერანტობისა და თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების კონტექსტში მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეების როლი, რომლებმაც, საკუთარი პირადი მრწამსისა თუ შეხედულებების მიუხედავად, უნდა დაიცვან ნეიტრალიტეტი და ხელი შეუწყონ საზოგადოების ჯგუფებს შორის უთანხმოების აღმოფხვრას. ამ მხრივ მათ ასევე აკისრიათ ნეგატიური ვალდებულება, თავად არ გახდნენ შეუწყნარებლობისა და თანასწორუფლებიანობის დარღვევის წამახალისებელნი საკუთარი გამონათქვამებითა თუ ქმედებებით. გამომდინარე აქედან, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლებისა, რომლითაც საჯარო მოხელეებიც სარგებლობენ, ამ უკანასკნელთ ევალებათ, თავი შეიკავონ საჯაროდ დისკრიმინაციული გამონათქვამებისა და სიძულვილის ენის გამოყენებისგან, ვინაიდან აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყანაში პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას და შესაბამისად აფერხებს სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ 1997 წლის 30 ოქტომბერს ევროპის საბჭოს მიერ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციაში პირველ პრინციპად მითითებულია სწორედ ის ფაქტი, რომ „...საჯარო მოხელეებს... აკისრიათ განსაკუთრებული ვალდებულება თავი შეიკავონ ისეთი გამონათქვამებისგან, განსაკუთრებით მედიასაშუალებით, რომლებიც შესაძლოა შეფასდეს სიძულვილის ენად, ან რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის ან დისკრიმინაციის ნებისმიერი სხვა ფორმის ანდა შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული სიძულვილის ლეგიტიმაცია, გავრცელება ან პოპულარიზაცია“[28].

სიძულვილის ენას და ფიზიკური ანგარიშსწორებისკენ მოწოდებას შეიცავდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, სანდრო ბრეგაძის, მიერ გაზეთ „კვირის პალიტრისათვის“ მიცემული ინტერვიუ[29], სადაც იგი არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელს მოიხსენიებს „ავადმყოფური აზროვნების ადამიანად“, „ერთუჯრედიან არსებად“, „მანქურთად“ და ასევე მიუთითებს, რომ „გამოჩნდება ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ემოციურ ფონზე თავად გამოიყენებს ძალას.“ აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურნენ სამოქალაქო პლატფორმაში “არა ფობიას!” შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები და მოითხოვეს ს. ბრეგაძის თანამდებობიდან გათავისუფლება[30]. განცხადებას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

2015 წლის 8 იანვარს სანდრო ბრეგაძემ ირაკლი ვაჭარაძის მიმართ მორიგი შეურაცხმყოფელი განცხადება გაავრცელა ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს გაკრიტიკების შემდეგ და იგი ტერორისტების იმ ჯგუფს

28. ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(97) 20.,1997,პრინციპი 1;
29 http://www.kvirispalitra.ge/public/23148-sandro-bregadze-didi-imedi-maqvs-rom-araraoba-irakli-vatcaradzes-arsad-shevkhvdebiq.html?add=1
30 http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-mimartva-saqartvelos-saxelmwifo-ministrs-diasporis-sakitxebshi.page

შეადარა, რომელთა შეიარაღებულ თავდასხმას პარიზში 12 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა („ამიერიდან ვაჭარაძე თავისუფლად შეგვიძლია ჩავწეროთ ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლ ექსტრემისტ-ტერორისტთა რიგებში")[31]. აღნიშნულის ფონზე „იდენტობის“ მიმართ ფიზიკური განადგურების მუქარა გავრცელდა სოციალურ ქსელებში, მათ შორის, “თავისუფალი თაობის” ლიდერის ლადო სადღობელაშვილის მხრიდან, „იდენტობის“ ოფისის წინ გაიმართა საპროტესტო აქციაც[32]. ამას გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება მოითხოვეს[33], ხოლო საქართველოს პრემიერ-მინისტრს სანდრო ბრეგაძის გადაყენების მოთხოვნით მიმართეს[34].

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ 2014 წლის 12 სექტემბერს ფეისბუკის საკუთარ გვერდზე გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია: “როცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალურ პოსტებს დაგიდებენ ეს ვითომ კაცები, სინამდვილეში არაკაცები, ბილწსიტყვაობენ და თანაც ქალის მიმართ, აი მეუღლემ ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, მერე არ გვითხრას ვინმემ კრიმინოგენული ვითარება დამძიმდაო.”[35] აღნიშნული განცხადება, არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, „წარმოადგენს პოლიტიკური და კულტურული მიუღებლობის საფუძველზე ძალადობის წახალისებას და ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს.“[36] იმავდროულად განცხადება „ქალს წარმოაჩენს, როგორც არასრულფასოვან არსებას, რომელსაც თავად არ შეუძლია საკუთარი ღირსების დაცვა და დამოკიდებულია მისი ოჯახის წევრი კაცების ქცევაზე.“[37]

საჯარო მოხელეების და, განსაკუთრებით, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია და სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტების მიმართ სახელმწიფოს უმოქმედობა საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც მათ მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება, რაც ხელს უწყობს სიძულვილის ენის წახალისებას და საზოგადოებაში შეუწყნარებლობის და ძალადობის დამკვიდრებას.

31 http://reportiori.ge/?menuid=3&id=50538
32 http://gdi.ge/ge/news/arafobias.page
33. იქვე
34 http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-mimartva-saqartvelos-premier-ministrs-baton-irakli-garibashvils.page
35 http://hotpost.ge/news/politics/16636-manana-kobakhidze-mere-meughlem-an-dzmam-an-shvilma-marthla-shubli-rom-gaukhvritos-mere-ar-gvithkhras-vinmem-kriminogenuli-vithareba-damdzimdao
36http://gdi.ge/ge/news/statement-of-non-governmental1.page
37.იქვე

## ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და მისი ამოქმედება

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. თავისთავად კანონის მიღება პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს, თუმცა ხაზგასასმელია, რომ კანონის მიღების პროცესშივე არასამთავრობო სექტორის ნაწილი მის არაეფექტურობაზე ამახვილებდა ყურადღებას, რამეთუ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებული კანონის აღსრულებისთვის აუცილებელი ქმედითი მექანიზმები საქართველოს პარლამენტში პროექტის წარდგენისას ამოღებულ იქნა.

ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურობის საკითხი არაერთხელ გახდა მსჯელობის საგანი. 2014 წლის 1 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ“ მითითებულია, რომ ასამბლეა მიესალმება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, თუმცა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გამოთქმულ უკმაყოფილებაზე კანონის ეფექტურობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით კი ასამბლეა მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს, კანონის მიღებიდან ერთი წლის თავზე განახორციელოს კანონის მოქმედების ყოვლისმომცველი შეფასება იმპლემენტაციის მექანიზმების ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის, თუკი ამის საჭიროება დადგება[38].

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ დაინტერესდა, კანონის ამოქმედების შემდეგ რამდენმა პირმა მიმართა სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით და რომელი ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე, რამდენი საქმეა ამჟამად წარმოებაში, ხოლო დასრულებული საქმეების შემთხვევაში, რა შედეგით დასრულდა ისინი. სახალხო დამცველის აპარატიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანონის ამოქმედებიდან 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით სახალხო დამცველს 50 ადამიანმა მიმართა დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. ამ საქმეებიდან 10 გადაეცა სხვა დეპარტამენტებს შესასწავლად, ვინაიდან საკითხი ეხებოდა სხვა უფლების დარღვევას და არა დისკრიმინაციას; 10 საქმე შეწყდა, ვინაიდან არ გამოიკვეთა დისკრიმინაცია; 2 საქმეზე წარმოება შეჩერდა, ვინაიდან განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს; 1 საქმეზე გაიგზავნა ზოგადი წინადადება[39]; 27 საქმეზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

38. ევროსაბჭოს რეზოლუცია „საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ“ §14; http://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-DocDetails-EN.asp?FileID=21275&lang=EN

39. საქმე ეხება საქართველოს ბანკის რეკლამას, რომელიც სახალხო დამცველის შეფასებით სექსისტური ხასიათისაა. სახალხო დამცველის ზოგადი წინადადებით მიმართვა კი გამოიხატა იმაში, რომ მომავალში ბანკმა თავი შეიკავოს მსგავსი ხასიათის სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება–გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად. http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saxalxo-damcvelma-ss-saqartvelos-banks-diskriminaciis-tavidan-acilebisa-da-mis-winaagmdeg-brdzolis-sakitxze-zogadi-winadadebit-mimarta.page

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, განცხადებებში ჭარბობს სამუშაო ადგილზე პოლიტიკური, სხვა შეხედულებების, პროფესიული კავშირებისადმი კუთვნილების და ეროვნების გამო დისკრიმინაციაზე მითითებები. ასევე განცხადებები შეეხება სექსუალური ორიენტაციის გამო მომსახურებაზე უარის თქმას, კანის ფერის გამო შევიწროებას, ვაკანსიების შესახებ დისკრიმინაციული სიტყვების შემცველი განცხადებების გამოქვეყნებას და სხვა.

გასათვალისწინებელია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი შეიცავს არაერთ ხარვეზს, რომლებიც მის მუშაობას ნაკლებეფექტურს ხდის. მათ შორის პრობლემურია ის, რომ დადგენილი მექანიზმი პირს არჩევნის წინაშე აყენებს, მიმართოს ან სახალხო დამცველს ან სასამართლოს. მაშინ, როდესაც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველს ანიჭებს უფლებას, თავად გადაწყვიტოს, როდის შეწყვიტოს საქმის შესწავლა, ანტიდისკრიმინაციული კანონი მას ავალდებულებს, შეაჩეროს წარმოება, თუკი დავას სასამართლო განიხილავს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს სახალხო დამცველის ეფექტურობას დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირების კუთხით. შესაძლოა სახალხო დამცველისათვის მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი სწორედ აღნიშნული ხარვეზით იყოს განპირობებული.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ მიიჩნევს, რომ თავისთავად ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ კანონით გათვალისწინებული უფლების დაცვის მექანიზმი არაეფექტურია და მასში არსებული ხარვეზები აღმოფხვრას საჭიროებს.

# სასჯელაღსრულების სისტემა და პატიმართა უფლებები

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლი ითვალისწინებს, რომ „ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას.“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ადამიანი დაცული უნდა იყოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან.

სასჯელაღსრულების დაწესებულებები სწორედ ის ადგილია, სადაც ადამიანთა უფლებების დარღვევის რისკი და საფრთხე საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით კი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თვალსაზრისით. საქართველომ, როგორც ევროსაბჭოს წევრმა ქვეყანამ, უნდა დაიცვას “ციხის ევროპული წესები”, სადაც მითითებულია სახელმწიფოს ვალდებულებები პატიმართა უფლებების უზრუნველყოფის კუთხით[40]. მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულების სფეროში არსებობდეს ისეთი შიდასაკანონმდებლო ნორმები, რომლებიც შექმნის მყარ გარანტიებს პატიმართა უფლებების დაცვისათვის და სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან.

საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების სფეროში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებებისა, თუმცა ისინი ყოველთვის არ იყო მიმართული მსჯავრდებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. ამგვარად, გაფართოვდა იმ სპეციალური საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში, მსჯავრდებულების, ციხის თანამშრომლების ან მესამე პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა ამ ცვლილებების ძალაში შესვლამდე არ მომხდარა თანამშრომლების გადამზადება აღნიშნული საშუალებების გამოყენების კუთხით. ასევე, გაფართოვდა იმ ნივთების ნუსხა, რომელთა შეტანაც აკრძალულია სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე. აქაც გაურკვეველია, რამ განაპირობა აღნიშნული ცვლილება, კერძოდ კი, ზოგიერთი ნივთის, მაგალითად, საათის, ტარების აკრძალვა მესამე პირთათვის.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში საანგარიშო პერიოდში კვლავ მოექცა პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რომელთა სიმრავლე ცხადყოფს, რომ არასათანადო მოპყრობა კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში გახშირდა მსჯავრდებულთა სუიციდის შემთხვევებიც, რაც, ერთი მხრივ, არაადეკვატურ სამედიცინო-ფსიქიატრიულ მომსახურებას უკავშირდება, თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს ვარაუდი, რომ ე.წ. „მაყურებლების“

40. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec(2006)2, 2006 წლის 11 იანვარი

გაზრდილი ავტორიტეტი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხდება პატიმრებზე ზეწოლის, ცალკეულ შემთხვევებში კი თვითმკვლელობამდე მიყვანის საშუალება. სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელობა ან სათანადო სერიოზულობით არ ეკიდება აღნიშნულ გარემოებებს ან მას უნარი არ შესწევს, გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები პატიმრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყველა შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობის და გახშირებული თვითმკვლელობების ფაქტები სახელმწიფოს მხრიდან მსჯავრდებულთა ფუნდამენტური უფლებების არასათანადო დაცვასა თუ უგულებელყოფაზე მიუთითებს.

## სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

2014 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. 2014 წლის 3 მაისიდან ამოქმედდა პატიმრობის კოდექსის ახალი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს მსჯავრდებულთა საცხოვრებელ პირობებს, ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების წესებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს უსაფრთხოების ღონისძიების სახით გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების ჩამონათვალის გაფართოება. მათი გამოყენების წესი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N245 ბრძანებით განისაზღვრა[41]. ბრძანებაში გაწერილია, რა შემთხვევაში უნდა მოხდეს თითოეული სპეციალური საშუალების გამოყენება და მითითებულია, რომ „სპეციალური საშუალება გამოიყენება უსაფრთხოების უკიდურესი ღონისძიების სახით იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალება არაეფექტურია…" (მუხლი 2.2). იმავდროულად ბრძანებით გათვალისწინებულია ის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სპეციალური საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

ბრძანების თანახმად, სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სისტემის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება (მუხლი 14.1). აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" დაინტერესდა, გაიარეს თუ არა სპეციალური ტრენინგები სასჯელაღსრულების თანამშრომლებმა ამ მიმართულებით. სასჯელაღსრულებისა და

41. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბერის N245 ბრძანება "პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე"

პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სპეციალური საშულებების გამოყენების თემაზე 2014 წელს, უცხოელი ექპერტების მონაწილეობით, ჩატარდა ორი ტრენინგი, რომელიც სისტემის 28 თანამშრომელმა გაიარა. აღნიშნული თანამშრომლები შემდგომში თავად ჩაატარებენ ტრენინგებს. იგივე თემა გათვალისწინებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის საბაზისო და გრძელვადიანი მომზადების სასწავლო პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც მომზადება გაიარა სამინისტროს სისტემის 24-მა თანამშრომელმა. 2015 წელს კი იგეგმება ტრენინგის ჩატარება იმავე თემაზე 120 მსმენელისათვის.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 1 აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით სპეციალური საშუალებების, კერძოდ, ხელბორკილების გამოყენება მოხდა 236 შემთხვევაში და დამაწყნარებელი საწოლის გამოყენება – 1 შემთხვევაში, სასჯელაღსრულების NN2, 3, 6, 8, 15 და 17 დაწესებულებებში.

მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად სპეციალური საშუალებების გამოყენება არაა აკრძალული საერთაშორისო სტანდარტებით, მნიშვნელოვანია, რომ მისი გამოყენება მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, კანონის სრული დაცვით და მაშინ, როდესაც მიზნის მიღწევის ნაკლებ შემზღუდველი საშუალება არ იარსებებს. გამომდინარე სასჯელაღსრულების სისტემის იმ თანამშრომელთა მცირე რიცხვიდან, რომელთაც გაიარეს ტრენინგი სპეცსაშუალებების გამოყენებაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებების გამოყენება ხდებოდა იმ თანამშრომლების მიერაც, რომლებსაც, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, არ გაუვლიათ შესაბამისი ტრენინგი.

* * *

2014 წლის 14 აგვისტოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრმა გამოსცა N135 ბრძანება, რომლითაც ცვლილებები შევიდა 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებაში. N135 ბრძანება ადგენს იმ ნივთების ნუსხას, რომელთა შეტანაც აკრძალულია სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე. ნუსხა საკმაოდ ვრცელია და სხვა ნივთებს შორის მოიცავს კომპასებს, საათებს და ბიჟუტერიას. სამინისტროს განცხადებით, ასეთი შეზღუდვები მიმართულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ, ხოლო საფრთხის შემცველი ნივთების იდენტიფიცირება მოხდა მრავალწლიანი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე[42].

42. http://www.interpressnews.ge/ge/samartali/294891-sasjelaghsrulebis-saministro-im-produqtebisa-da-nivthebis-sias-aqveynebs-romeltha-patimrobis-datsesebulebashi-shetana-akrdzalulia.html?ar=A

აღნიშნული ცვლილებით დაკანონდა ის მანკიერი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ლოგიკური დასაბუთების გარეშე, პატიმრის მოსანახულებელ პირებს, მათ შორის, ადვოკატებს, ართმევდნენ პირად ნივთებს. ეს მით უფრო გაუგებარია მას შემდეგ, რაც თავად მსჯავრდებულებს მიეცათ იმავე ნივთების, მაგალითად, საათების და სამკაულების ტარების უფლება. რაც შეეხება კომპასის და სხვა მსგავსი ნივთების აკრძალვას, აღნიშნული უკავშირდება წარსულში რუსულ და საბჭოთა ციხეებში დადგენილ აკრძალვებს, რომლებიც გამოწვეული იყო, რუსეთის გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, აღნიშნული ნივთების  გამოყენებით ციხიდან გასაქცევად. შესაბამისად, გაუგებარია, რა კრიტერიუმებით და რომელი მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე მოხდა კომპასებისა და საათების საფრთხის შემცველი ნივთებისთვის მიკუთვნება.

განსაკუთრებულად დაუშვებელია ნებისმიერი დოკუმენტის (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა) შეტანის აკრძალვა, ვინაიდან სამართალწარმოების მიზნებისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს თავისუფლებააღკვეთილ პირთან სხვადასხვა სახის დოკუმენტების შეტანა მათი გაცნობის ან პატიმრის ხელმოწერის მოპოვების მიზნით. აღნიშნულმა აკრძალვამ, შესაძლოა, სერიოზულად დააზარალოს მსჯავრდებულის უფლებები.

* * *

2014 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პატიმრობის და სისხლის სამართლის კოდექსებში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის გათავისუფლება შესაძლებელია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე  თავისუფლების აღკვეთის 20 წლის თავზე, ნაცვლად 25 წლისა. იმავდროულად, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, იმავე ორგანოს შეუძლია, თავისუფლების აღკვეთის 15 წლის თავზე უვადო მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეუცვალოს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით.

მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *„ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“* დაადგინა, რომ უვადოდ თავისუფლებაღკვეთილ პირებს უნდა ჰქონდეთ მათი სასჯელის გადახედვის უფლება, ასეთი შესაძლებლობის არარსებობა კი წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და შესაბამისად წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან (*Vinter and others v. The United Kingdom* no. 66069/09, 130/10 და 3896/10 §122). აღსანიშნავია, რომ

კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უმრავლესობაში საერთოდ არაა უვადო თავისუფლების აღკვეთა სასჯელად გამოყენებული, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში, ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელის გადახედვის მექანიზმებს, როგორც წესი 15, 20 ან 25 წლის შემდეგ (*Vinter and others v. The United Kingdom* no. 66069/09, 130/10 და 3896/10 §68, §117). ამრიგად, ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება შესაბამისობაში მოდის ევროპულ სტანდარტებთან.

## არასათანადო მოპყრობის და პატიმართა სუიციდის შემთხვევები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია ადამიანის სიცოცხლის უფლება. აღნიშნული უფლების ფარგლებში სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, გარდა „აბსოლუტური აუცილებელი" გარემოებებისა, და ამავე დროს მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა პირთა სიცოცხლის უფლების დასაცავად[43]. სიცოცხლის უფლება ითვალისწინებს ასევე ამ უფლების ხელყოფის შემთხვევაში სათანადო და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულებასაც (*Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98 და 43579/98, § 110). ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე მსჯელობისას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ამ უფლების ფარგლებში საპატიმროში მყოფი მსჯავრდებულები იმყოფებიან მოწყვლად პოზიციაში და შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ მათი დაცვის ვალდებულება. გამომდინარე აქედან, მაგალითად, მაშინ როდესაც ინდივიდი საპატიმროში შედის ჯანმრთელ მდგომარეობაში, გამოსვლისას კი იგი დაზიანებულია, სახელმწიფომ დამაჯერებლად უნდა ახსნას ის, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები (*Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, § 87). ხოლო, თუ საპატიმროში მყოფი ინდივიდი გარდაიცვალა, მის მიმართ საპატიმროში მოპყრობასთან დაკავშირებული ვალდებულება კიდევ უფრო მკაცრდება (*Keenan v. the United Kingdom*, no. 27229/95, § 91).

საქმეში *„ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ"* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმ მიზეზით, რომ ციხეში მსჯავრდებული ცინცაბაძის გარდაცვალებაზე დაწყებულ გამოძიებასთან დაკავშირებით არსებობდა შეუსაბამობები და ნაკლოვანებები (*Tsintsabadze v. Georgia* no. 35403/06 § 77). სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ვერ გააქარწყლა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობის ეჭვი. ამასთან ერთად, სასამართლომ ეჭვის ქვეშ დააყენა გამოძიების დამოუკიდებლობაც, ვინაიდან

43 კონსტიტუციის მეორე თავის კომენტარები, ტუღუში, მშვენიერაძე, ბურჯანაძე, გოცირიძე, მენაბდე, თბილისი 2013, გვ 62;

საქმეს  იმავე სამინისტროს (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო)  უწყება იძიებდა. ამ გამოძიების შედეგები კი სახელმწიფო პროკურორმა მხოლოდ და მხოლოდ დაადასტურა და დამატებითი მოკვლევა მას არ უწარმოებია. სასამართლოს აზრით, ამ საქმეში პრობლემას წარმოადგენდა საგამოძიებო ორგანოების მოქმედებების ხასიათიც (*Tsintsabadze v. Georgia* no. 35403/06 § 78). აღნიშნულიდან გამომდინარე კი, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის ვაჟის გარდაცვალებაზე ჩატარებული გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი, ობიექტური და ეფექტიანი (*Tsintsabadze v. Georgia* no. 35403/06 § 94).

ამრიგად, ზემოაღნიშნული ვალდებულებების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა უფლებების დაცვა და ნებისმიერ სამართალდარღვევაზე დროული რეაგირება, დამოუკიდებელი, ობიექტური და ეფექტური გამოძიების ჩატარების ჩათვლით.

ხაზგასასმელია, რომ  პატიმრობის დაწესებულებებში მომხდარ დანაშაულებს კვლავ იძიებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი[44]. მიუხედავად პროკურატურის მხრიდან გამოძიების ზედამხედველობისა, დეპარტამენტის მიერ გამოძიების მიუკერძოებლად და ობიექტურად ჩატარება კვლავ ეჭვქვეშ დგას, რაც ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც აღიარა.  აღნიშნულის ფონზე და პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის რაოდენობის და პატიმართა გარდაცვალების ფაქტების გათვალისწინებით, სურათი კიდევ უფრო მძიმდება და ცხადყოფს სახელმწიფოს მხრიდან პატიმართა უფლებების დაცვის კუთხით შესაბამისი ზომების გატარების აუცილებლობას, რაც, მათ შორის, გამოიხატება მათი უსაფრთხოების გარანტიების შექმნაში, ასევე, თითოეული სამართალდარღვევის ფაქტზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებაში.

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას შემდეგი საკითხების გასარკვევად:

- რამდენი საჩივარი შევიდა პროკურატურაში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე;
- რამდენ მათგანზე დაიწყო გამოძიება და რა მუხლით/მუხლებით;
- რა შედეგით დასრულდა საქმეები (ბრალდებულად იქნა თუ არა ცნობილი ვინმე);
- რამდენი საქმე გაეგზავნა სასამართლოს და რამდენი შეწყდა (და თუ შეწყდა, რა საფუძვლით).

44. საქართველოს იუსტიციის მინისტრის „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ 2013 წლის 7 ივლისის  N34 ბრძანების მე-8 პუნქტი: „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1], 378-ე, 378[1], 378[2], 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს.“

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებულ პასუხში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ 2014 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების/უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა 33 პირის მიმართ დაიწყო. აღნიშნული ზოგადი პასუხი შეუძლებელს ხდის არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევების გამიჯვნას სხვა სამსახურებრივი დანაშაულებისგან. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით კი, როგორებიცაა პროკურატურაში შესული საჩივრების რაოდენობა, დაწყებული გამოძიების რაოდენობა, საქმეთა შედეგები, დევნის შეწყვეტა, სასამართლოში გაგზავნილ საქმეთა რაოდენობა), პროკურატურის განცხადებით, მათ სტატისტიკური ინფორმაცია არ მოეპოვებათ.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 30 აპრილს ხელმოწერილი უწყებათაშორისი მემორანდუმის მიხედვით, რომელიც ეხება თანამშრომლობას სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემისთვის, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების/შეწყვეტის და საქმეების სასამართლოში წარმართვასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა საქართველოს მთავარ პროკურატურას აკისრია. აღნიშნული მითითებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილ პასუხშიც, რომელმაც სწორედ ამ მოტივით არ დააკმაყოფილა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ განცხადება სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდების შესახებ ამავე საკითხებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის არაერთი ფაქტი:

- 2014 წლის 5 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა და მისმა ორმა კოლეგამ საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია მსჯავრდებულ შ. შ.-ის შესახებ, რომელიც, მისი თქმით, ძალადობის მსხვერპლია[45]. ადვოკატების ინფორმაციით, 2014 წლის 26 აპრილს ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მოადგილემ შმაგი ბანძელაძემ მსჯავრდებულის მიმართ განახორციელა ძალადობრივი აქტი და მოახდინა მასზე ზეწოლა დანაშაულის აღიარების მოტივით, რომელიც, პატიმრის თქმით, მას არ ჩაუდენია. ადვოკატთა განცხადებით, შ.შ. ხუთი თვე იმყოფებოდა იზოლაციაში, ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ, და მას არ უტარდება შესაბამისი მკურნალობა. ადვოკატებმა ასევე აღნიშნეს, რომ შ.შ.-ის შემთხვევა არ არის გამონაკლისი და სასჯელაღსრულების სისტემაში ზოგადად გრძელდება პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა.

45 http://www.netgazeti.ge/GE/105/News/34578/

- 2014 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში პატიმრის ცემის თაობაზე. მსჯავრდებულ ჯ.ქ.-ის ადვოკატის განცხადებით, ჯ.ქ. სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც მას სერიოზული დაზიანებები აქვს მიყენებული თავისა და კიდურების არეში. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო პატიმრის ცემის ფაქტს არ ადასტურებს, ხოლო დაზიანებებს უკავშირებს თავად მსჯავრდებულის მხრიდან ბადრაგისთვის გაწეულ წინააღმდეგობას[46].

- 2014 წლის ოქტომბერში გავრცელდა პატიმარ მ.ტ.-ის ადვოკატის განცხადება, რომლის მიხედვით, გლდანის მე-8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მისი დაცვის ქვეშ მყოფი სასტიკად სცემეს დაწესებულების დირექტორის მოადგილემ, რეჟიმის უფროსმა და შვიდმა თანამშრომელმა, რის შედეგადაც პატიმარს აღარ შეუძლია დამოუკიდებლად, ეტლის გარეშე გადაადგილება. ადვოკატის განცხადებით, მსჯავრდებულმა სცადა თვითმკვლელობა და იგი სასწრაფოდ საჭიროებდა შესაბამის მკურნალობას, რომელიც გაჭიანურდა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ცემის ფაქტი ამ შემთხვევაშიც უარყო[47].

- 2014 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის თვითმხილველები გახდნენ. კერძოდ, ციხის საშხაპე ოთახში მათ ნახეს ორი პატიმარი, რომლებიც იატაკზე იწვნენ სველი ტანსაცმლით. პატიმარ მ.უ.-ს ხელ-ფეხი ერთმანეთზე ჯაჭვით ჰქონდა გადაბმული; ამასთან, ორივე პატიმარს გარეგნულად აღენიშნებოდა ძალადობის კვალი[48]. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული პატიმრები იმყოფებოდნენ ალკოჰოლური თრობის ზემოქმედების ქვეშ, იყვნენ აგრესიულები და იყენებდნენ თვითდაზიანებებს, რის გამოც ისინი ხელბორკილებით დააბეს[49]. სამინისტროს განცხადებითვე, აღნიშნული საქმე, გამოძიების მიზნით, მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა; პარალელურად სამსახურებრივ შემოწმებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციაც განაგრძობს[50].

- 2014 წლის ნოემბერშივე გავრცელდა ინფორმაცია ბათუმის N3 დაწესებულებიდან გლდანის N8 დაწესებულებაში გადაყვანილი 25 წლის პატიმრის შესახებ, რომელსაც სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები. ადვოკატის

46 http://rustavi2.com/ka/news/125
47 http://bit.ly/1zhH3J9
48 http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n8-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb-2014-wlis-27-28-noemberi.page
49 http://ick.ge/rubrics/humanrights/20156-i.html#.VGzway8rvGY.facebook
50 http://www.interpressnews.ge/ge/samartali/305927-patimrebis-shesadzlo-cemis-faqtthan-dakavshirebith-sasjelaghsrulebis-saministrom-prokuraturas-masala-gadaugzavna.html?ar=A

განცხადებით, პატიმარმა თვითდაზიანებები მიიყენა ბათუმის ციხეში არსებული არაადამიანური პირობების, ასევე, მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო. პატიმარი ასახელებს კონკრეტულ პირებს, რომლებმაც მის მიმართ არასათანადო მოპყრობა განახორციელეს[51]. ბათუმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ არაადამიანურ საყოფაცხოვრებო პირობებს შეეხება, ასევე, ამ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ნუგზარ თაბაგარის წერილი, რომელიც 2014 წლის 25 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთში „ბათუმელები"[52].

- 2014 წლის 7 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს ქუთაისის N2 დაწესებულებაში მყოფი სამი მსჯავრდებული, რომელთაც სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდათ. ეს ფაქტი ასევე დასტურდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერებით და მორიგე ექიმის მიერ შედგენილი მსჯავრდებულთა გარეგნული დათვალიერების აქტებით. მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ სიტყვიერი შეკამათების შემდეგ ბადრაგმა მათ საკნის სარკმლიდან დაუმიზნა იარაღი და მოკვლით დაემუქრა, ხოლო სასამართლო პროცესის დასრულების შემდგომ საბადრაგო სამმართველოს ოცამდე თანამშრომელმა ისინი იზოლატორის შენობაში სცემეს[53]. სახალხო დამცველმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმართა მთავარ პროკურორს წინადადებით, დაწყებულიყო გამოძიება მსჯავრდებულთა მიმართ განხორცილებული შესაძლო დანაშაულის შესწავლის მიზნით[54].

- 2014 წლის დეკემბერში გავრცელდა მსჯავრდებულ რ. გ.-ს განცხადება გლდანის ციხეში პატიმართა რეგულარული ცემისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, რისი გაპროტესტების შემდეგაც იგი გლდანის N8 დაწესებულების თანამშრომლებმა სცემეს და პატიმრობის ვადის გაგრძელებით დაემუქრნენ, შემდეგ კი ქუთაისის N2 საპყრობილეში გადაიყვანეს. მსჯავრდებულმა სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა და შიმშილობა გამოაცხადა[55]. აღნიშნულ საქმეზე სასჯელაღსრულების გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა დაწყო[56].

- 2014 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველმა გაავრცელა ინფორმაცია იმავე წლის ნოემბერში ბათუმის N3 დაწესებულებაში მსჯავრდებულ შ.დ.-ის მიმართ ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტის შესახებ. თუმცა სასჯელაღსრულებისა და

51 http://www.netgazeti.ge/GE/105/News/38646/ /
52http://www.batumelebi.ge/GE/batumelebi/news/38763/
53 http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/sammartveloebi/regionuli-sammartvelo/siaxleebi-region/winadadeba-mtavar-prokurors-badragis-qmedebebtan-dakavshirebit.page
54 http://www.ombudsman.ge/ge/about-us/struqtura/sammartveloebi/regionuli-sammartvelo/siaxleebi-region/winadadeba-mtavar-prokurors-badragis-qmedebebtan-dakavshirebit.page
55 http://www.interpressnews.ge/ge/regioni/309411-ojakhis-tsevrebi-amboben-rom-patimari-ruslan-gugunava-cikheshi-scemes.html?ar=A ; http://radioatinati.ge/atinati-33/
56 http://imedi.ge/archive/index.php?pg=nws&id=41899&ct=3

პრობაციის სამინისტროს განცხადებით, მოსალოდნელი სასჯელის თავიდან არიდების მიზნით შ.დ.-ს შეცდომაში შეჰყავს უფლებადამცველები, სახალხო დამცველი კი, თავის მხრივ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებს[57].

- 2014 წლის 23 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ისაუბრა პატიმარ გ.ო.-ის მიმართ თვეების განმავლობაში მიმდინარე არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. ორგანიზაციის ადვოკატების მტკიცებით, ბათუმის N3 და გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმარი არაერთგზის გახდა ფიზიკური ზეწოლის მსხვერპლი დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან. გარდა ამისა, გ. ო.-ს არ უწევენ სათანადო სამედიცინო დახმარებას[58].

***

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში სულ გარდაიცვალა 27 პატიმარი, აქედან 2014 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა პატიმართა გარდაცვალების 9 შემთხვევა, ხოლო მეორე ნახევარში – 18 შემთხვევა.

2013-2014 წლებში სუიციდის შემთხვევების რაოდენობა ციხეებში მკვეთრად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დაფიქსირდა ბოლო წლებში სუიციდის ყველაზე მეტი, ექვსი შემთხვევა, მაშინ როცა პატიმრების რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად იყო შემცირებული[59]. რაც შეეხება 2014 წლის მონაცემებს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილობით პასუხში ინფორმაცია გარდაცვალების მიზეზების შესახებ არასრულად იყო მითითებული, თუმცა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხდა სუიციდის 5 შემთხვევა:

- 2014 წლის 17 აგვისტოს რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 24 წლის ჯ. ფ. თანასაკნელებმა საკნის საპირფარეშოში გარდაცვლილი იპოვეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს[60]. ჯ.ფ.-ის ოჯახის წევრები თავდაპირველად თვითმკვლელობის ვერსიას ეწინააღმდეგებოდნენ, რისი ერთ-ერთი მიზეზიც იყო ის გარემოება, რომ ჯ.ფ.-ს სასჯელი უკვე 2015 წლის მაისში ეწურებოდა, გარდა ამისა, მათთვის გაუგებარი იყო, რას შეეძლო გამოეწვია მსჯავრდებულის თვითმკვლელობა. გაჟღერდა ე.წ.

57 http://www.mcla.gov.ge/ka/news/2014/12/2029
58 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18045&lang=geo
59. 2012 წელს - 19349, ხოლო 2013 წელს - 9093 პატიმარი
60 http://www.for.ge/view.php?for_id=35346&bloger_id=22&cat=12 ; http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/siaxleebi-npm/gancxadeba-patimris-gardacvalebastan-dakavshirebit.page

„მაყურებლების“ ვერსიაც, რომელთა მხრიდან ზეწოლაც, შესაძლოა, აღნიშნული მსჯავრდებულის თვითმკვლელობის მიზეზი გახდა.

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, 2014 წლის 16 სექტემბერს რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ორმა ინსპექტორმა რიგითი შემოვლის დროს მსჯავრდებული ზ. ს. საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს[61]. აღსანიშნავია, რომ ზ.ს.-ის თანასაკნელი წინა დღეს იქნა გადაყვანილი სხვა დაწესებულებაში, რის შემდეგაც ზ. ს. საკანში მარტო იყო დარჩენილი.

- 2014 წლის 17 სექტემბერს გარდაცვლილი იპოვეს ასევე სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში პატიმრობაში მყოფი ნ.შ., რომელმაც, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, კისრის მიდამოში მიიყენა ნაკვეთი თვითდაზიანება, რის შედეგადაც გარდაიცვალა[62]. ორივე შემთხვევაში გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. სახალხო დამცველის ოფისის მიერ აღნიშნულ ფაქტზე გაკეთებული განცხადებიდან იკვეთება, რომ გარდაცვლილ მსჯავრდებულს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, რის შესახებაც მან არაერთხელ მიმართა როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს, ისე სახალხო დამცველს, თუმცა მკურნალობის ნაცვლად, იგი დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადაჰყავდათ. სამედიცინო დახმარების მოთხოვნით მსჯავრდებულმა შიმშილობაც გამოაცხადა, რის შემდეგაც იგი სამარტოო საკანში მოათავსეს, სადაც ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ იყო დამონტაჟებული. აღნიშნულ საკანში მოთავსების მეორე დღეს მსჯავრდებულმა თავი მოიკლა[63].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ნ.შ.-ის გარდაცვალებაში აშკარად იკვეთება სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის და სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი. მსჯავრდებული, რომელსაც ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ცნობილი იყო მისი მიდრეკილება თვითდაზიანებისკენ ( წარსულში მან ყელის არეშიც რამდენჯერმე მიიყენა ნაკვეთი ჭრილობები), უნდა ყოფილიყო განთავსებული სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ადეკვატური მეთვალყურეობის პირობებში. მხოლოდ გამოძიების დაწყება მსჯავრდებულის მიერ მითითებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ვერ ჩაითვლება ადეკვატურ რეაგირებად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. თვით ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს უარი ეთქვა აუცილებელ სამედიცინო დახმარებაზე, უნდა იქნეს მიჩნეული არასათანადო მოპყრობად.

---

61 http://medianews.ge/ge/patimarigardatsvliliipoves/86332
62 http://mcla.gov.ge/?action=news&lang=geo&npid=2126
63 http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/siaxleebi-npm/gancxadeba-sasdjelagsrulebis-n17-dawesebulebis-msdjavrdebulta-dasa-da-nshs-gardacvalebis-shesaxeb.page

- 2014 წლის დეკემბერში სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში კიდევ ერთი სუიციდის შემთხვევა დაფიქსირდა. მსჯავრდებული ლ.მ.-ის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო[64].

- სავარაუდო სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა ასევე სასჯელაღსრულების N18 დაწესებულებაში, თუმცა გარდაცვლილის ოჯახს თვითმკვლელობის არ სჯერა და, მათი თქმით, ჯ.ი.-ს მოკვლით ემუქრებოდნენ. ოჯახის წევრების განცხადებით, საპატიმრო დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებები იყიდება – ნარკოტიკები ციხეში თვითონ თანამშრომლებს შეაქვთ. აღნიშულს უარყოფს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების გენინსპექციამ გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) დაიწყო[65].

64 http://pia.ge/show_news.php?id=30029&lang=geo
65 http://www.tabula.ge/ge/story/90471-gardacvlili-patimris-ojaxs-tvitmkvlelobis-versiis-ar-sjera

# პოლიციის მიერ ძალის გადამეტება

პოლიციის უპირველესი მოვალეობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და კრიმინალის აღკვეთაა, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პოლიციამ საკუთარი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად უნდა გამოიყენოს თანაზომიერი ძალა, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ადეკვატური, აუცილებელი და პროპორციული იქნება[66]. შეიძლება ითქვას, რომ პოლიციის საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და კონსტიტუციით აღებული პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულების შესრულების საშუალებას. თანაზომიერების პრინციპის დაცვას და პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებისათვის. პოლიცია, როგორც სამართალდამცავი ორგანო, საზოგადოებისათვის სწორედ კანონიერების მაგალითი უნდა იყოს, ამიტომ პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და ასეთი დანაშაულების ეფექტური გამოძიება სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ასევე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციიდან, განსაკუთრებით კი მისი მე-2 და მე-3 მუხლებიდან, რომლებიც სიცოცხლის უფლებას და წამების აკრძალვას ეხება. ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდს კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოქმედებისათვის კი წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების სავარაუდო შემთხვევების ეფექტური გამოძიება[67]. აღნიშნულ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თავის პრეცედენტულ სამართალში[68].

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების არაერთი შემთხვევა:

- 2014 წლის 3 ოქტომბერს ქუთაისში, დევნის ოპერაციის დროს, სამართალდამცავებმა 22 წლის მირზა გ. თავის არეში დაჭრეს. ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მიყვანიდან ერთ საათში გარდაიცვალა[69]. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულ პოლიციელს ბრალი წარედგინა განზრახ მკვლელობასა და იარაღის გამოყენებით

66. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12;
67. The European Convention on Human Rights and Policing, A handbook for police officers and other law enforcement officials, Jim Murdoch, Ralph Roche, Council of Europe, December 2013, Pg 26;
68. იხ. *Ramsahai v the Netherlands* no 52391/99, 15 May 2007, § 325; *Scavuzzo-Hager and Others v. Switzerland*, no. 41773/98, 7 February 2006, §§ 78 და 80 86; *Tsintsabadze v. Georgia* no. 35403/06 , 15 February 2011, §76;
69 http://www.frontnews.ge/ge/news/56807-

უფლებამოსილების გადამეტებაში[70] და მას გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდა. სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულ პოლიციელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა[71].

- 2014 წლის 25 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია 14 აგვისტოს ღამით ვაკე-საბურთალოს პოლიციის მეორე განყოფილების პოლიციელების მიერ მოქალაქე გ. ცომაიას სასტიკად ცემის თაობაზე. გავრცელებული ინფორმაციით, ღამის საათებში ნასვამი გ. ცომაია შევიდა თავის საცხოვრებელ სახლთან მდებარე პოლიციის განყოფილებაში, სადაც მოითხოვა 2013 წელს ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვის მისი დაკავებისას ნივთმტკიცების სახით ჩამორთმეული მობილური ტელეფონის დაბრუნება. ერთ-ერთი პოლიციელი გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ გ. ცომაია ღამის საათებში, ნასვამი მივიდა პოლიციის შენობაში, რის შემდეგაც დაზარალებული, მისივე განცხადებით, აიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც იგი სცემა 11-მა ადამიანმა, სავარაუდოდ, პოლიციელებმა.
  დროებითი მოთავსების იზოლატორის გარეგნული დათვალიერების ოქმის, ასევე, 14 სექტემბერს აკად. ნ. ყიფშიძის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ გაცემული ფორმა IV-100-ის მიხედვით, დაზარალებულს აღენიშნებოდა დაზიანებები სახისა და თავის არეში. გ. ცომაია დააკავეს სს კოდექსის 353-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ წინააღმდეგობის, მუქარის ან ძალადობისთვის. პრობაციის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის საბაბით სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. 27 აგვისტოს სამოქალაქო აქტივისტებმა ვაკე-საბურთალოს პოლიციის მეორე განყოფილებასთან გიორგი ცომაიასადმი სოლიდარობის აქცია გამართეს და მოითხოვეს ინციდენტის დროული, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება, იგივე მოთხოვნა გაავრცელეს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა[72].

- 2014 წლის 7 სექტემბერს, რუსთაველის გამზირზე, სამართალდამცავებმა დააკავეს პიროვნება, რომელიც მობილური ტელეფონით იღებდა "პოლიციურ რეიდს". გავრცელებული ინფორმაციით, მას და მის თანმხლებ პირს პოლიციამ გადაღება აუკრძალა და ტელეფონით გადაღებული კადრები წაუშალა[73]. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტის თანმხლებმა პირმა მიუთითა, რომ მის ტელეფონში არსებული ფაილები პირადი ინფორმაციის შემცველი იყო და პოლიციელებს მათი დათვალიერების უფლება არ ჰქონდათ, სამართალდამცავებმა იგი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული ჯერ პოლიციის სამმართველოში,

70http://bit.ly/1w18zgK [უკანასკნელად ნანახია 04.03.2014];
71http://itv.ge/?m=16&CID=33859
72 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17863&lang=geo ; http://www.tabula.ge/ge/story/88424-arasamtavroboebma-policiashi-giorgi-comaias-cemis-faqtze-gancxadeba-gaaketes
73 http://www.media.ge/ge/portal/news/303100/

შემდგომ კი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, დაკავებულ მოქალაქეს ბრალი წარედგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობას გულისხმობს[74]. სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, 8 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო რეიდის დროს დაკავებული პირის საქმის წარმოება შეწყვიტა[75].

- 2014 წლის 7 სექტემბერს, დინამო არენას სტადიონზე, საქართველო-ირლანდიის საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე, ახალგაზრდა მამაკაცს, მისი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით, პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ[76]. მამაკაცი ბავშვით ხელში სექტორის შესასვლელ კიბეზე იდგა, როდესაც მას და სამართალდამცავებს შორის შელაპარაკება მოხდა. თვითმხილველის ცნობით, "პოლიციელმა მამაკაცს, რომელსაც დაახლოებით 3-4 წლის ბავშვი ხელში ეჭირა, გამეტებით დაარტყა მუშტი. კაცი კიბეზე წაბორძიკდა, მაგრამ შეეცადა ბავშვთან ერთად არ წაქცეულიყო, თუმცა მეორე დარტყმას ვეღარ გაუძლო და ბავშვთან ერთად დაეცა. დაცემულს მივარდა რამდენიმე ათეული შსს-ს თანამშრომელი[77]. სტადიონზე მომხდარ ინციდენტს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტრო[78]. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, მამაკაცმა თვითონ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა სამართალდამცავებს, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით[79]. დღემდე უცნობია, დაიწყო თუ არა გამოძიება სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე.

- 2014 წლის 30 სექტემბერს, გაერთიანება „თავისუფალი თაობის" მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ზონაზე" განხორციელებული თავდასხმის დროს, პოლიციამ „თავისუფალი ზონის" ორი თანამშრომელი დააკავა. მოგვიანებით, დაკავებულების ადვოკატმა გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით, დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფ „თავისუფალი ზონის" წევრები ფ. ჭკადუა და დ. გოგოხია პოლიციელებმა სასტიკად სცემეს.

74 http://bit.ly/1wCj347
75http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35592/
76 http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35612/
77. იქვე
78. იქვე
79. სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით ისჯება წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ.

ადვოკატის ინფორმაციითვე, პატრულის საგამოძიებო სამსახურის უფროსი დაკავებულ გოგოხიას გაუპატიურებით ემუქრებოდა[80].

- 2014 წლის 23 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია წალენჯიხაში პოლიციის მიერ ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტის შესახებ, რომლის თანახმადაც „ენერგო პრო-ჯორჯიას“ წალენჯიხის ბილინგ მენეჯერი ლ. კილასონია პოლიციის თანამშრომლებს ცემასა და სექსუალური ძალადობის მუქარაში ადანაშაულებდა. მისი განცხადებით, იგი პოლიციამ 8 სექტემბერს დააკავა და ფიზიკური ძალადობისა და გაუპატიურების მუქარით მორფინის შეძენისა და მოხმარების აღიარებითი ჩვენება დააწერინა. ლ. კილასონიას განცხადებით, ფიზიკურად გაუსწორდნენ მასთან ერთად დაკავებულ ვ. ბელქანიასაც[81]. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შსს-ს გენერალურ ინსპექციას მოკვლევა უნდა დაეწყო[82], თუმცა შედეგები ამ დრომდე უცნობია.

- პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტი მოხდა, ასევე, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ადგილობრივი მუსლიმების მიმართ. კერძოდ, გავრცელებული ვიდეომასალის თანახმად, აქციის მონაწილეები დაკავებისას და პოლიციის შენობაში გადაყვანისას სცემეს და შეკრების მონაწილეებს რელიგიური კუთვნილების ნიშნით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს[83]. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია.

- 2015 წლის 4 იანვარს ქუჩის არტისტებმა საპატრიარქოს შენობის წინ წარწერა გააკეთეს. წარწერაზე „25 მილიონი“ იყო გამოსახული, რაც რაც საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაზე მიანიშნებდა. ქუჩის არტისტების მიზანი იყო საზოგადოებისთვის შეეხსენებინათ, რომ გადასახადების გადამხდელთა თანხიდან ყოველწლიურად საპატრიარქო ფინანსდება და, მათი აზრით, თანხები ხშირ შემთხვევაში არამიზნობრივად ნაწილდება. 8 იანვარს წარწერის ავტორები მ. ნატროშვილი და გ. ჯიშკარიანი პოლიციაში დაიბარეს. ერთ-ერთი ქუჩის მხატვარი ამბობს, რომ 8 იანვარს ჯერ იმყოფებოდნენ თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში, სადაც “გასაუბრებას” ესწრებოდა საპატრიარქოს სამი წარმომადგენელი, ხოლო შემდეგ - ორთაჭალის პოლიციის განყოფილებაში, სადაც სამართალდამცავებმა შეადგინეს ოქმი. მ.ნატროშვილის თქმით, როცა სამართალდამცავებს ჰკითხეს, თუ რა სტატუსით იმყოფებოდნენ პოლიციაში, ან რა მუხლით უპირებდნენ მათ ბრალის წაყენებას,

80 http://www.tabula.ge/ge/story/88186-advokati-dakavebul-gogoxias-da-chkaduas-policiashi-sastikad-scemes
81 http://transparency.ge/en/node/4729
82 http://www.livepress.ge/ka/site/news/10179/
83 http://emc.org.ge/2014/11/03/emc-is-gancxadeba-prokuraturas/

საპატრიარქოს წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ "პატრიარქის ნებაა, არ დაისაჯოთ და ეს არ არის დაკითხვა, ეს უბრალოდ გასაუბრებაა".

სამწუხაროდ, დღემდე არაა ცნობილი, კონკრეტულად რა რეაგირება მოჰყვა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ზემოთ მოყვანილ ფაქტებს შესაბამისი ორგანოების მხრიდან და რა შედეგით დასრულდა დაწყებული გამოძიება. აღნიშნული პრობლემის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს არსებობას, რომელიც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების, ძალის გადამეტების ფაქტებს და სხვა დანაშაულებს ეფექტურად და ობიექტურად გამოიძიებდა, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა მსგავსი ტიპის ორგანოს არსებობას არ ითვალისწინებს. პოლიციის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები ცხადყოფს, რომ ვერც მთავარი პროკურატურა და ვერც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული გენერალური ინსპექცია ვერ აკმაყოფილებენ გამოძიების მიუკერძოებლობის, დროულობის და ეფექტიანობის იმ მაღალ სტანდარტებს, რომელთაც აწესებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

საქართველოში დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს არარსებობაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო[84], ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, "Human Rights Watch", რომელიც თავის 2014 წლის ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სამართალდამცავ მოხელეთა ანგარიშვალდებულება ჯერ კიდევ პრობლემად რჩება საქართველოში, ვინაიდან არ არსებობს დამოუკიდებელი ეფექტური მექანიზმი, რომელიც გამოიძიებდა ასეთი პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს[85]. ამის მაგალითად კი მოჰყავს 2014 წლის აგვისტოში გ. ცომაიას მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა. პოლიციელების მიერ ჩადენილი გადაცდომების არაეფექტური გამოძიება ქმნის დაუსჯელობის სინდრომს, რაც საკმაოდ საშიში ტენდენციაა და წარმოადგენს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორს. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი მსგავს შემთხვევათა პრევენციისათვის და უზრუნველყოს მომხდარის დამოუკიდებელი, ეფექტური და ობიექტური გამოძიება.

84 *Tsintsabadze v. Georgia* no. 35403/06 , 15 February 2011, §78, §94;
85 Human Rights Watch, World Report 2014, Georgia, pg 254;

# ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა, რაც გულისხმობს ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ოჯახის წევრზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ყველა სახელმწიფოში, ვინაიდან, განსხვავებით სხვა დანაშაულებისგან, მას განგრძობადი და ფარული ხასიათი აქვს, მისი გამოვლენაც სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით კი იმ საზოგადოებაში, სადაც მსგავსი ტიპის დანაშაულების მიმართ შემწყნარებლური ან, როგორც მინიმუმ, გულგრილი დამოკიდებულება არსებობს და იგი მხოლოდ ოჯახის შიდა პრობლემად აღიქმება, რომელშიც საზოგადოება არ უნდა ჩაერიოს.

როგორც წესი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ოჯახის ყველაზე მოწყვლადი წევრები, მათ შორის, უმეტეს შემთხვევაში, ქალები და ბავშვები ხდებიან, რაც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებაში ქალისა და ბავშვის მიმართ დამოკიდებულებასთან. ევროსაბჭოს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) მიხედვით[86], „ქალთა წინააღმდეგ ძალადობა ერთ-ერთი ძირითადი სოციალური მექანიზმია, რომელიც ქალებს აყენებს კაცებთან მიმართებით დაქვემდებარებულ მდგომარეობაში“ და იგი წარმოადგენს „ქალსა და მამაკაცს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი ურთიერთობის გამოვლინებას, რამაც საქმე კაცების მიერ ქალების დისკრიმინაციასა და მათზე დომინირებამდე, ასევე ქალების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობის ხელის შეშლამდე მიიყვანა[87].“

ამრიგად, ოჯახში ძალადობა მჭიდროდაა დაკავშირებული გენდერული თანასწორობისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებთან. იგი, ხშირ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, რომ არაფერი ვთქვათ ძალადობის მსხვერპლის პატივსა და ღირსებაზე. გამომდინარე აქედან, სახელმწიფოს ვალია, ამ დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მოახდინოს მისი იმპლემენტაცია მსგავს შემთხვევათა მინიმუმამდე დასაყვანად. დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში აუცილებელია, ასევე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება (მსხვერპლი ქალების ჩათვლით), რასაც ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენასა და პრევენციაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია.

86 საქართველომ კონვენციას 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა ხელი;
87 http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/convention-violence/convention/Convention%20210%20English.pdf

## ოჯახში ძალადობის შემთხვევები  და ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები

საქართველო, როგორც პატრიარქალური ტრადიციების მქონე ქვეყანა, სადაც, როგორც წესი, ქალის როლად მხოლოდ ოჯახსა და შვილებზე ზრუნვა მიიჩნევა, ყოველთვის გამოირჩეოდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომით, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მიმართ ძალადობაშიც  გადაზრდილა. თუმცა უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით გახშირდა ოჯახში ძალადობის და ქალთა მკვლელობების ფაქტები, რამაც აღნიშნული პრობლემა ფართო საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგნად აქცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ოჯახში მომხდარ დანაშაულებს ეხება, (სსკ-ის 11'-108, 11'-109, 11'-117, 11'-118, 11'-126', 126' მუხლებით განსაზღვრული დანაშაულები), 2014 წელს სულ დაფიქსირდა 591 შემთხვევა (აქედან 22 მკვლელობა), 434 შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. შემაკავებელი ორდერის დამტკიცება სასამართლოს მიერ მოხდა 817 შემთხვევაში.[88] 2015 წლის 10 თებერვლის მონაცემებით კი 2015 წელს უკვე დაფიქსირებულია ოჯახური ძალადობის 89 შემთხვევა, რომელთაგან 60-ზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღსანიშნავია, რომ  ოჯახში ძალადობის ფაქტების ყველაზე  დიდი რაოდენობა ფიქსირდება კახეთსა და შიდა ქართლში. აქვე ხაზგასასმელია, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გავრცელებული სტატისტიკის თანახმად, 2009-2014 წლებში ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობათა ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების 45 შემთხვევა ფიქსირდება, აქედან ყველაზე მეტი – 19 შემთხვევა 2014 წელს დაფიქსირდა[89].

საანგარიშო პერიოდში მოხდა ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა არაერთი შემთხვევა:

- 2014 წლის 17 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის ლექტორი ყოფილმა მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. მსხვერპლი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც შემდგომ გაირკვა, გასულ თვეებში მ.წ.-ს არაერთხელ

88. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს იმავე დანაშაულებთან მიმართებაში დაფიქსირებული იყო 459 შემთხვევა, რომელთაგან დევნა მხოლოდ 185 შემთხვევაში დაიწყო, ხოლო შემაკავებელი ორდერის დამტკიცება მხოლოდ 227 შემთხვევაში მოხდა;

89 https://idfi.ge/ge/statistic-domestic-violence

მიუმართავს პოლიციისთვის ყოფილი ქმრის მხრიდან მუქარის თაობაზე, თუმცა პოლიცია მხოლოდ მოძალადის სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა[90].

- 2014 წლის 18 ოქტომბერს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩეთში ქმარმა ცივი იარაღით მოკლა ცოლი. ნათელა ჯ. ადგილზე გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შსს-მ მეუღლე იური ჩ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავა[91].

- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში 30 წლის ქალმა თავი მოიკლა, რისი მიზეზიც სოფლის მოსახლეობისა და სანათესაოს მიერ ქმრის ღალატის გამო მისთვის საჯაროდ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და დამამცირებელი მოპყრობა გახდა[92].

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სალიბაურში ახალგაზრდა ქალი ჩამომხრჩვალი იპოვეს. გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) დაიწყო. გარდაცვლილის ახლობლები პირად საუბრებში არ გამორიცხავენ ძალადობის ფაქტს[93].

- ძალადობის შემთხვევა დაფიქსირდა ასევე დედოფლისწყაროში, სადაც ქმარმა 31 წლის ორსული მეუღლე სცემა, რომელიც მოტეხილობებითა და მრავლობითი დაჟეჟილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ქმარს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარედგინა. ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში იმყოფება[94].

- 18 ოქტომბერს გავრცელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება[95] თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც ოჯახური კონფლიქტის განმუხტვის მცდელობისას ადგილზე მისულ პოლიციელს ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა, რასაც მოჰყვა საპასუხო სროლა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მხრიდან. შედეგად დაიჭრა პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი და თვითონ ბ.მ.

---

90http://www.interpressnews.ge/ge/samartali/301157-ilias-universitetshi-mkvleloba-mokhda.html?ar=A
91http://police.ge/ge/shss/7246
92http://ick.ge/articles/19726-i.html#.VDgNN8QhYY4.facebook
93 http://www.interpressnews.ge/ge/samartali/303061-sofel-samebashi-akhalgazrda-qali-gardacvlili-ipoves.html?ar=A_; http://1tv.ge/news-view/79266
94 http://www.interpressnews.ge/ge/samartali/302808-orsuli-meughlis-cemisthvis-qmars-patimroba-sheefarda.html?ar=A
95 http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/7245_http://rustavi2.com/ka/news/830

- კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერხვიანში ქმარმა ცოლი მოკლა[96], სამართალდამცავმა ორგანოებმა ცხელ კვალზე დააკავეს ელიმხან ე., რომელმაც, შსს-ს განცხადებით, ცოლის, მელეიქა გ.-ს, მოკვლა ჯერ ცეცხლსასროლი იარაღით სცადა, შემდეგ კი ავტომანქანით დაეჯახა, რის შედეგადაც ქალი გარდაიცვალა[97].

- მკვლელობა მოხდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში, სადაც მამაკაცმა, თ.ა.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით დაჭრა საკუთარი მეუღლე, ე.მ., , რომელიც მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა, ხოლო ქმარმა თვითმკვლელობა სცადა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით აღიძრა[98].

ოჯახში ძალადობის ნიადაგზე მკვლელობათა გაზრდილი რიცხვი ცხადყოფს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირების აუცილებლობას, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საკანონმდებლო სივრცის სრულყოფას, არამედ, პირველ რიგში, ოჯახში ძალადობისგან დაცვის უკვე არსებული მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას. ოჯახში ძალადობის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების და არასამთავრობო სექტორის კოორდინირებული მუშაობა და პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების ძიება.

## ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოში მოქმედებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2012 წლიდან კი ოჯახში ძალადობა კრიმინალიზირებულია. სსკ-ის 126[1] მუხლის თანახმად, ოჯახურ დანაშაულს წარმოადგენს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.“ აღსანიშნავია, რომ შექმნილია ასევე სპეციალური უწყებათშორისი საბჭო და შემუშავებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებათა 2013–2015 წლების სამოქმედო გეგმა.

96 http://www.interpressnews.ge/ge/samartali/308334-sofel-thularshi-qmarma-coli-mokla.html?ar=A
97http://police.ge/ge/shss-m-sagaredjoshi-momkhdari-ganzrakh-mkvlelobis-faqti-tskhel-kvalze-gakhsna/7445
98 http://police.ge/ge/shss-m-ganzrakh-mkvlelobis-braldebit-erti-piri-daakava/7498?print=1

საქართველო  მიერთებულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებს, როგორებიცაა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია (CEDAW) და გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუცია, რომლის შესაბამისადაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2014 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პარლამენტმა კანონმდებლობაში განახორციელა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც მიმართულია ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისაკენ:

1. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებებისა, რომელთა მიხედვით, დაზუსტდა ოჯახური ძალადობის ცნება, ძალადობის მეთოდებს დაემატა უგულებელყოფის ცნება, დაზუსტდა ოჯახში ძალადობის გამოვლენის ვალდებულებების მქონე ორგანოების ჩამონათვალი, ასევე, განისაზღვრა ძალადობის მსხვერპლის უფლებები და გარანტიები, მათ შორის, საცხოვრებლით დროებით სარგებლობის უფლების შენარჩუნების წესი, მსხვერპლის ინფორმირების ვალდებულება და სხვა. იმავე ცვლილებების თანახმად, 2015 წლის 1 მაისამდე საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ცხელი ხაზის („სატელეფონო დახმარების ქსელი“) ამოქმედება, ხოლო 2015 წლის 1 სექტემბრამდე – მოძალადის მიერ გასავლელი, დამცავი ორდერით გათვალისწინებული ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის ორგანიზებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება[99].

2. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსების ორგანიზება.

3. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული დამატების თანახმად, პოლიციას დაევალა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის გაფრთხილება მოძალადის პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე[100].

---

99. საქართველოს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, აღნიშნული კურსების ორგანიზება დაევალა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს.
100. იმავე კოდექსის ცვლილებებით სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას დაეკისრა პოლიციისთვის მოძალადის გათავისუფლების შეტყობინების ვალდებულება.

4. „პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა სამედიცინო მომსახურების გამწევის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება, ასევე, პაციენტის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა $11^1$ მუხლი „პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის“ და $150^1$ მუხლი „ქორწინების იძულება“; ეს უკანასკნელი 2015 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდება.

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვა არ უნდა მოხდეს მოძალადის თანდასწრებით; სავარაუდოდ მოძალადე მშობელი არ შეიძლება, დაინიშნოს არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად; განრიდების შემთხვევაში პროკურორს მიეცა შესაძლებლობა, მოძალადის განრიდება განახორციელოს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის პირობით. იმავე ცვლილებების თანახმად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლოს შეეძლება, ჩაატაროს დახურული სხდომა. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, მოძალადეს შესაძლოა აეკრძალოს გარკვეულ ადგილზე შესვლა და დაზარალებულთან მიახლოება.

7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაზუსტდა მშობლის პასუხისმგებლობა შვილის საჭიროებების უგულებელყოფისთვის. კოდექსს ასევე დაემატა $172^6$ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტის პასუხისმგებლობას ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის შეუტყობინებლობის გამო.

8. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად დარეგულირდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხი. იმავე ცვლილებების მიხედვით, პროცესის მონაწილე რომელიმე პირის სასამართლოში გამოუცხადებლობა არ აფერხებს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხის განხილვას. სასამართლოს ასევე მიეცა უფლება, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა, არა უმეტეს ერთი თვისა. სასამართლოს შეუძლია, დამცავ ორდერში მიუთითოს მოძალადის საცხოვრებელი ადგილიდან განრიდება ან მისი სავალდებულო სწავლების კურსებზე მივლენა.

9. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის დროებითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების შესაძლებლობა და წესი. აიკრძალა ძალადობის მსხვერპლის გაძევება საქართველოდან შესაბამისი სამართალწარმოების დასრულებამდე ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელში ყოფნის პერიოდის განმავლობაში.

10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს დაემატა მშობლისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტანჯვის გამომწვევი აღზრდის მეთოდების აკრძალვა.

11. 2014 წლის 9 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა სპეციალური მითითება „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრების შესახებ“[101].

12. 2015 წლის 18 თებერვალს პარლამენტმა მიიღო კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლითაც გამკაცრდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი სანქციები. კერძოდ, სსკ-ის $126^1$ მუხლის პირველი ნაწილით სანქციად დაწესდა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით, ხოლო მეორე ნაწილით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე, ნაცვლად ერთი წლისა. გარდა ამისა გაფართოვდა „ოჯახის წევრის“ ცნება და მასში გათვალისწინებულია ასევე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. იმავდროულად $126^1$ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნა დაუშვებელი ხდება. ცვლილებები 2015 წლის 12 მარტიდან ამოქმედდება.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო ოჯახში ძალადობის საკითხებზე უბნის ინსპექტორების გადამზადება[102] პოლიციის აკადემიაში. სამინისტრომ, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, დაიწყო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია – „არა ძალადობას!“[103]. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, სამინისტრომ ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან სულ 2182 შეხვედრა ჩაატარა[104].

---

101 http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-pasukhi-ombudsmenis-mimartvaze/7550

102 http://police.ge/ge/shss-s-akademiashi-odjakhshi-dzaladobis-sakitkhebze-ubnis-inspeqtorebis-gadamzadeba-grdzeldeba/7228

103 http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/306567-shss-ojakhshi-dzaladobis-tsinaaghmdeg-brdzolis-socialur-kampanias-itsyebs.html?ar=A

104 http://police.ge/

მისასალმებელია და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები  და სახელმწიფოს მცდელობა, მოახდინოს შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ძირითადი პრობლემა მდგომარეობს არა საკანონმდებლო ბაზის არარსებობაში, არამედ არსებული კანონების ეფექტურად იმპლემენტაციაში და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ყოველ შემთხვევაზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებაში.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ გაეროს კომიტეტის მიერ საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ 2014 წლის 24 ივლისს გამოქვეყნებულ დასკვნით შენიშვნებში კომიტეტი შეშფოთებას გამოხატავს  ქმრების/პარტნიორების მიერ მოკლულ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა გაზრდილი რაოდენობის გამო, ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით მიმართვიანობის დაბალი დონის,  სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კრიზის-ცენტრების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრების, განსაკუთრებით სოფლად, დეფიციტის გამო[105], ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, ქალიშვილობის ტესტის ჩატარების იძულების ფაქტების გამო[106]. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს, მიიღოს ყველა ზომა მსგავსი შემთხვევების შესამცირებლად, ასევე, ხელი შეუწყოს მსხვერპლ ქალთა ცნობიერების ამაღლებას და უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და მსხვერპლებისთვის დააწესოს მიღებული ზიანის ადეკვატური კომპენსაცია[107].

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება გაამახვილოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, ასევე, ეროვნული კანონმდებლობის იმპლემენტაციაზე და გადადგას ქმედითი ნაბიჯები ოჯახში ძალადობის და მის ნიადაგზე მომხდარი მკვლელობების შემთხვევების შესამცირებლად, ყოველ ფაქტზე დროული რეაგირების, დამნაშავეთა ადეკვატური დასჯისა და ამგვარად მსხვერპლთა დაცვის გზით.

---

105. საქართველოში არსებობს ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომლის მიზნებში, მათ შორის,  შედის  ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა; ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა .  ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციართა 2010-2014 წლების სტატისტიკის თანახმად, შეინიშნება თავშესაფრით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა, რომელთა რიცხვმაც 2014 წელს 114  შეადგინა. თუმცა აღნიშნული ციფრი საკმაოდ დაბალია ოჯახური ძალადობის გაზრდილ ფაქტებთან მიმართებაში.
106. Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia", CEDAW, 24.07.2014, §20; http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en
107 CEDAW, §21;

# პერსონალური მონაცემების დაცვა და ფარული მოსმენები

საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-20, 36-ე და 41.2-ე მუხლებით, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, დაცულია ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს აკისრებს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა, იმავდროულად კი ნეგატიურ ვალდებულებას, თავად გაუმართლებლად არ შეზღუდოს ამ უფლებით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, სახელმწიფოს მხრიდან მასში ჩარევა მოითხოვს კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის არსებობას და ამ მიზნის მიღწევისათვის ისეთი საშუალების გამოყენებას, რომელიც უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება იქნება.

ფარული მოსმენები სახელმწიფოს წინაშე დღეის მდგომარეობით არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ადამიანის პირადი ცხოვრების და მიმოწერის პატივისცემას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ პირადი ცხოვრების და მიმოწერის უფლებაში ჩარევა აუცილებლად უნდა იყოს „კანონით გათვალისწინებული", რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის და განჭვრეტადი სამართლებრივ შედეგებში[108]. იმავდროულად მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სამართლებრივი დაცვის ისეთი საშუალებები, რომლებიც გამორიცხავს ხელისუფლების ორგანოების თვითნებობას, რისი რისკიც განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც უფლებამოსილების აღსრულება ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ხდება ფარულად[109].

ფარული მოსმენების რეგულირებასთან ერთად პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შემადგენელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დაცვაც, რომელიც მეტწილად საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე ნაწილს უკავშირდება. საქართველომ „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიკაციით აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს კონფიდენციალობის დაცვა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესრულებას, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, 2013 წლის 1 ივლისიდან

---

108 *Association for European Integration and Human Rights and Ekimdzhiev v. Bulgaria* no. 62540/00, 30 January 2008 §§71–77;

109*Malone v. the United Kingdom* no. 8691/79 02 August 1984, §67;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ზედამხედველობს. ინსპექტორის მანდატი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ". ინსპექტორისა და მისი აპარატის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კერძო და საჯარო დაწესებულებების მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება და მათთვის კონსულტაციების გაწევა. ინსპექტორის აპარატი, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებსაც.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის 2014 წლის ანგარიშის თანახმად, აპარატის თანამშრომლებმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სულ გასცეს 924 კონსულტაცია, ინსპექტირება ჩაუტარდა 7 საჯარო უწყებასა და 6 კერძო ორგანიზაციას. ფაილური სისტემის კატალოგი წარმოადგინა 1936 ორგანიზაციამ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია, გამოიყენოს კანონის აღსრულების ერთი ან რამდენიმე ღონისძიება ერთდროულად. ინსპექტორის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და მისი გასაჩივრება სასამართლოში შესაძლებელია კანონით განსაზღვრული წესით.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კუთხით საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

## ცვლილებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში

2014 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილების გავრცელებას კერძო სექტორზეც. ამოქმედებული ნორმების შესაბამისად, ინსპექტორს, თავისი მანდატის ფარგლებში, პირის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, შეუძლია, განახორციელოს ნებისმიერი კერძო ორგანიზაციის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გამოიყენოს კანონით დადგენილი სანქცია, მათ შორის, ჯარიმა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის ახალი რედაქციით დაზუსტდა ის ადგილები, სადაც შესაძლებელი გახდება ვიდეოთვალთვალის განხორციელება – ქუჩაში, მათ შორის, პარკში, სკვერში, სათამაშო მოედანთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და

თავშეყრის სხვა ადგილებზე. ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანს წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილება, აგრეთვე პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვა.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ასევე ზემოაღნიშნული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის ახალი რედაქცია, რომლითაც დაზუსტდა ინსპექტორის უფლებამოსილება, ნებისმიერი დაწესებულების შემოწმების განხორციელებისას, ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოთხოვის პროცესში. კერძოდ, ინსპექტორს მიეცა შესაძლებლობა, გამოითხოვოს კომერციული და პროფესიული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველი, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული მასალა, რომელიც აუცილებელია შემოწმების განსახორციელებლად.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებების გაფართოება და, განსაკუთრებით, მისი მანდატის გავრცელება კერძო სექტორზე პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან ეს ზრდის უფლების დაცვის გარანტიებს და იმავდროულად ამცირებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის რისკებს/შემთხვევებს.

## ცვლილებები „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში

2014 წლის პირველ აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2013 წლის ივლისში ინიცირებული ცვლილებები „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების მიხედვით, კანონიდან ამოღებულ იქნა მე-5 მუხლის 3[110] და 5[111] პუნქტები, რომლებიც, გამონაკლის შემთხვევებში, ითვალისწინებდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობას სამეცნიერო ან სხვა მიზნით. კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით პირს მიენიჭა განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონიერების გასაჩივრების უფლება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში. კანონის ახალი რედაქციის მიხედვით, განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების უკანონოდ ცნობა ქმნის ამ ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების

110. „აკრძალულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემებისა და დოკუმენტების გაცნობა სამეცნიერო ან სხვა მიზნით, თუ მათი მოპოვებიდან გასული არ არის 25 წელზე მეტი.“

111. „ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც დადგენილი წესით უფლება აქვს გაეცნოს სახელმწიფო საიდუმლოებას, თუ ეს მონაცემები და დოკუმენტები ესაჭიროება სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობისათვის“

კანონიერების მტკიცების ტვირთი კი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელ ორგანოს ეკისრება.

## ახალი რეგულირება ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა დაძლია საქართველოს პრეზიდენტის ვეტო და მიიღო საქართველოს პარლამენტის წევრების, ე.ბესელიას, გ.ფოფხაძის და ი.სესიაშვილის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს. ცვლილებების თანახმად, ფარული მოსმენების საშუალებებზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დარჩა, რაც მან ე.წ. „გასაღების“ დატოვებით შეინარჩუნა. შემოღებულია ე.წ. „ორგასაღებიანი სისტემა“, რომლის შესაბამისადაც მეორე "გასაღები" პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელში გადავიდა, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 136-ე–138-ე მუხლებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებების კონტროლს განახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა ვრცელდება მხოლოდ სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე და არ ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების სხვა სახეებზე, რომლებიც ინტერნეტკომუნიკაციას ეხება.

ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ კი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლება-მოვალეობები, 2015 წლის 31 მარტიდან ამოქმედდება. იმავდროულად სსსკ-ის 143[1] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან – სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან მიმართებით ინსპექტორის ზედამხედველობა გამოიხატება კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმებაში; ფარული საგამოძიებო ელექტრონული სისტემის მეშვეობით ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემაში და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებაში (ინსპექტირებაში).

ცვლილებების დამტკიცებას წინ უძღოდა რამდენიმეთვიანი ცხარე დებატები, რა დროსაც კანონპროექტის სხვადასხვა ვარიანტი განიხილებოდა. საქართველოს პარლამენტს საკუთარი შენიშვნები წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტმაც, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო იმ ფაქტზე, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ერთდროულად არ უნდა წარმოადგენდეს ფარული მოსმენა-მიყურადების პროცესზე დამკვირვებელ და ამ პროცესის შემადგენელ ნაწილს და მას მხოლოდ გარე კონტროლი უნდა დაევალოს, პროცესის მონაწილე კი, ინსპექტორის ნაცვლად, უნდა გახდეს სასამართლო. პრეზიდენტის აზრით, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერის გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის[112] მეშვეობით უნდა წარიმართოს ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების სხვა სახეები, რომლებიც ინტერნეტკომუნიკაციას ეხება[113]. თუმცა როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს პარლამენტმა, პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინების გარეშე, ვეტო დაძლია და კანონპროექტი მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ვეტოდაძლეულ კანონს ხელი მოაწერა.

აქვე ხაზგასასმელია, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ მიწვეულმა ევროსაბჭოს ექსპერტებმა ჯოზეფ კანატაჩიმ და გრეჰემ სატონმა ჯერ კიდევ 2014 წლის სექტემბერში მოუწოდეს საქართველოს პარლამენტს, გაუქმებულიყო ყველა ის კანონი, რომლებიც საშუალებას აძლევდა სახელმწიფო ორგანოებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ჰქონოდათ პირდაპირი წვდომა ელექტრონულ კომუნიკაციაზე ოპერატორისთვის შეტყობინების გარეშე.

მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა, არ შეცვლილა თვით ფარულ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, კერძოდ, ფარული მოსმენების საშუალებებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პირდაპირი წვდომა. ე.წ. „მეორე გასაღების“ გადაცემა მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის კი ვერ ქმნის უფლების დაცვის საკმარის გარანტიას და ვერ ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ არ მოხდება უკანონოდ და მასობრივად ადამიანთა პირადი საუბრების ფარული მოსმენა და მიყურადება. შესაბამისად, მთლიანობაში განხორციელებული ცვლილებები პოზიტიურად ვერ შეფასდება.

112. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა არის ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავს, სასამართლოს ელექტრონული თანხმობის გარეშე, სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით, ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.
113 https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/Documents?9158